

## ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

### ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

საქართველოს პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში 2023 წლის 05 აპრილს განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმად:

1. შეიცვალა საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების წესი. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დოკუმენტი საჯაროდ გაავრცელოს, თუ გადასახადის გადამხდელი (გარდა ფიზიკური პირისა), საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით გაგზავნილ დოკუმენტს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ავტორიზებული მომხმარებლის ვებგვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში არ გაცნობია. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.
2. ცვლილება განხორციელდა 89-ე მუხლში, რომლის შესაბამისად, თუ პირი, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მიზნით საგადასახადო ორგანოს მიმართავს კალენდარული წლის დასრულებამდე, სტატუსი გაუქმებულად ჩაითვლება მომართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ცვლილებამდე პირადი განცხადების საფუძველზე მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდებოდა კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან.
3. არამეწარმე ფიზიკური პირისთვის, რომელიც აქტივის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან არ ახორციელებს გამოქვითვებს, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საანგარიშო პერიოდად განისაზღვრა კალენდარული თვე, ნაცვლად კალენდარული წლისა, ხოლო საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადად - არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვი. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

4. გაიზარდა აქციზის განაკვეთი რამდენიმე სახეობის საქონელზე. ასევე აქციზით დასაბეგრ საქონელს დაემატა რამდენიმე დასახელება.

5. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში მითითებული მსუბუქი ავტომობილის ან 8711 კოდში მითითებული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევიდან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება 180 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის პროცედურაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ამ სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზი 100 პროცენტის ოდენობით.

6. განისაზღვრა ახალი სამართალდარღვევის სახე - დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, (მუხლი 288<sup>5</sup>). აღნიშნული დაქირავებულ პირთა რეესტრში არასწორი/არასრული ინფორმაციის შეტანისათვის ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომას თითოეულ დაქირავებულ პირზე 200 ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

7. იზრდება იმ საგადასახადო სამართალდარღვევების ჩამონათვალი, რომლისთვისაც ფულადი ჯარიმის ნაცვლად გაფრთხილების გამოყენებაა შესაძლებელი. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევათა ჩამონათვალს, რომლებისთვისაც ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გაფრთხილება, ემატება გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევისა და დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევები. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები მოიცავს სხვა საკითხებსაც, რომელთა დეტალურად გაცნობა შესაძლებელია მითითებულ ბმულზე:

## ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №135 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 20 აპრილიდან. განხორციელებლი ცვლილებით დაკორექტირდა არსებული რედაქცია რამდენიმე ნაწილში, კერძოდ ძირითადად თამბაქოს ნაწარმზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესი.

## საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ჩანაწერი, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება დაიშვებოდა სახელმწიფო და დავებთან დაკავშირებით, თუკი ხელმწიფრულება ითვალისწინებდა დაუყოვნებლივი აღსრულების შესაძლებლობას.

კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებების და 269-ე მუხლის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელები საქმეზე „შპს იხტიოსი“, ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, შალვა ონიანი, ვახტანგ კობეშვიძე და მანანა ხარხელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მიიჩნევდნენ, რომ პრობლემურია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი, რადგან სადავო ნორმის საფუძველზე, იზღუდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური გასაჩივრების უფლება, რაც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლებრივ კომპონენტს წარმოადგენს.

შესაბამისად, მოსარჩელები პოზიციით, სადავო რეგულირება, ამ თვალსაზრისით, არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

მოსარჩელები ასევე მიიჩნევდნენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე წინადადებით სასამართლოსთვის მინიჭებული შესაძლებლობა, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი განიხილოს და გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის ჩატარების და ამ საკითხზე მხარეთა არგუმენტაციის მოსმენის გარეშე, ხელყოფს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც წესი, ვერ შეაფერხებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის სრულყოფილად გამოკვლევასა და სათანადოდ გადაწყვეტას, თუმცა, სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე მოითხოვს, რომ სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ეფექტიანად მოახდინოს პირის ინტერესების დაცვა. შესაბამისად, სწორედ გასაჩივრების უფლებით არის დაცული, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებამ არ დააყენოს ისეთი შედეგი, რომელიც, თავისი ბუნებით, შეუქცევადი იქნება, რომლის გამოსწორება ვერ მოხდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც კი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მართალია დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ ჩერდება. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღსასრულებლად მიექცევა გადაწყვეტილება, რომლის წერილობითი დასაბუთებაც, როგორც წესი, გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მომენტში არ არსებობს. მისი გასაჩივრება უკავშირდება დასაბუთებული გადაწყვეტილების მოპასუხე მხარისათვის ჩაბარებას და შესაბამისი საჩივრის მომზადებას. შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრებამდე და საჩივარზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობამდე, შესაძლებელია, რამდენიმე თვეც კი გავიდეს. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით სადავო ნორმა ქმნიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების რეალურ შესაძლებლობას მანამ, სანამ სააპელაციო სასამართლო იმსჯელებდა აღსრულების

შედეგად გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საკითხზე. აღნიშნული კი, რიგ შემთხვევებში, აზრს უკარგავდა ან/და მნიშვნელოვნად აუფასურებდა სააპელაციო საჩივრის შემდგომ განხილვასა და გადაწყვეტას. სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებულად გადაწყვეტის შემთხვევაში, შესაძლოა, ვეღარ მომხდარიყო მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, რადგანაც ეს პრაქტიკულად არ იყოს განხორციელებადი.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ზღუდავდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობას და ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის აპელანტის სასარგებლოდ გადაწყვეტას, ცალკეული საქმის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ვერ უზრუნველყო პირის უფლებრივი რესტიტუცია და, შედეგად, არსებობდა რისკი იმისა, რომ თავად გასაჩივრების ინსტრუმენტი იქცეოდა საკანონმდებლო ფორმალობად რეალური, ხელშესახები ეფექტის გარეშე.

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მართალია ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე ხელშეკრულების მონაწილეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ხელშეკრულებათა შინაარსი, თუმცა იმის დაშვება, რომ პირზე სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნები არ გავრცელდეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ასე შეთანხმდა ხელშეკრულებით, თავად უფლების არსს ეწინააღმდეგება. კონსტიტუცია განამტკიცებს ეფექტიან სასამართლოზე წვდომას, შესაბამისად, იმ სასამართლოს ეფექტიანობა, რომელიც საქმეს განიხილავს, ორი კერძო პირის შეთანხმებაზე დამოკიდებული ვერ იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირობა, რომელიც სასამართლოს (მათ შორის, სააპელაციო სასამართლოს) ეფექტიან ხელმისაწვდომობას ზღუდავს, შეუთავსებელია თავად სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩათვალა, რომ სამართლიანი ბალანსის მისაღწევად მნიშვნელოვანია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღსრულდეს მანამ, სანამ სააპელაციო სასამართლო არ შეაფასებს დაუყოვნებლივ აღსრულების შედეგების გავლენას მისსავე გადაწყვეტილების ეფექტურობაზე და იმსჯელებს დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის

საკითხი, რომლითაც მოწესრიგებულია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვის წესი, კერძოდ, სადავოდ გამხდარი ნორმის თანახმად, თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი გადაწყვეტილების გამოცხადებასთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე არ იქნა განხილული, იგი განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამდენად, სადავო რეგულირება უშვებდა დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას. სასამართლოს შეფასებით ზეპირი მოსმენის საშუალებით საკითხის განხილვა სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია, შესაბამისად სადავო ნორმა აფერხებდა მის რეალიზებას, რის გამოც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კონტექსტში მიუთითა, რომ „პროცესის ეკონომიურობა, ისევე, როგორც არდაშვება სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვისა, რაც, საბოლოო ჯამში, ნეგატიურ გავლენას ახდენს მართლმსაჯულების ხარისხზე, უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური მიზნებია, ვინაიდან თითოეული მათგანის დაცვა ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობას ემსახურება. თუმცა, ამ ინტერესების დაცვის აუცილებლობა ვერ გამართლებს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეთა განხილვას, თუ ამის შედეგი იქნება კონკრეტული პირების უფლებების დარღვევა, უფლებების დაცვის შეუძლებლობა“. ამრიგად საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის ინტერესი, არ მოხდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტა, მნიშვნელოვნად აღემატება საქმის განხილვის ეკონომიურობისა და სწრაფ მართლმსაჯულებაზე სამოქალაქო სამართლებრივი სამართალწარმოების მონაწილე მეორე მხარის ინტერესს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციისთვის კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად და სადავო საკითხის ახლებურად მოსაწესრიგებლად, რათა საფრთხე არ შეექმნას მხარეთა სამართლებრივ ინტერესს. შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებები ძალადაკარგულად გამოცხადდა 2023 წლის პირველი ოქტომბრიდან.

## Contact information

Bakertilly Georgia  
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.  
(+995 32) 2438 999

[office@bakertilly.ge](mailto:office@bakertilly.ge)  
[www.bakertilly.ge](http://www.bakertilly.ge)

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.